
რატომ იტბორება თბილისი ყოველი წვიმის დროს?

pia.ge/post/154416-ratom-itboreba-tbilisi-yoveli-wvimis-dros-

„რატომ იტბორება თბილისი ყოველი წვიმის დროს?“ – ეს კითხვა დღეს თითოეულ ჩვენგანს აწუხებს, თუმცა არც ისე ბევრმა იცის ამ პრობლემის რეალური მიზეზი.



ალბათ, ყველას ახსოვს 2 წლის წინათ ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედია. სწორედ მაშინ ალაპარაკდა ღიად საზოგადოება მოუწყობელ სანიაღვრე სისტემებზე და მისგან წარმოქმნილ პრობლემებზე.

როგორც პროფესორი ჭიჭიკო ჯანელიძე ამბობდა, ძლიერი ნალექი დედაქალაქში ადრეც არაერთხელ მოსულა, თუმცა თბილისი ასე არასდროს იტბორებოდა. ის ამბობდა, რომ სანიაღვრე სისტემები, სავარაუდოდ, გასაწმენდია. მართალია, წყალი სისტემაში ჩადის, მაგრამ მას თან მოაქვს ნარჩენები, პოლიეთილენის პარკები, ჩვრები თუ სხვა ნაგავი, რაც სისტემას ჭედავს და წყალს აღარ უშვებს.

„სანიაღვრე სისტემა მხოლოდ ზედაპირულად გაკეთებას არ ნიშნავს. მხოლოდ „ხუფები“ კი არ უნდა გაუკეთდეს. „ხუფი“ კოსმეტიკაა. ეს სისტემა მთლიანად, კაპიტალურად უნდა გაიწმინდოს. ადრე რატომ არ იტბორებოდა თბილისი? იმიტომ, რომ სანიაღვრე სისტემა ფუნქციონირებდა. შესაბამისად, მარტივია პასუხიც: თუ დღეს ქალაქი იტბორება, სანიაღვრე სისტემა არ არის წესრიგში“, - აცხადებდა პროფესორი.

როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ეს არ ყოფილა ქუჩების დატბორვის მთავარი მიზეზი და პრობლემა სხვაგანაც უდნა ვეძებოთ.

„პირველს“ „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელმა ირაკლი მაჭარაშვილმა უთხრა, რომ ქალაქის ქუჩების დატბორვა მხოლოდ სანიაღვრე სისტემის გაუმართაობის გამო არ ხდება და პრობლემის სათავეში უფრო გლობალური მიზეზი დგას.

“ეს არის, ერთი მხრივ, არასწორად გაკეთებული სანიაღვრე ინფრასტრუქტურა, რაზეც საუბრობს ყველა, თუმცა ეს ზედაპირულია და არის სხვა ფაქტორებიც, რაზეც ხშირად არ ისმის. ზოგადად, მეცხრამეტე საუკუნეში თბილისის ფერდობებზე ძალიან განადგურდა მწვანე საფარი, რაც იწვევდა ქალაქის დატბორვას. კომუნისტების დროს ხელოვნური ტყის გაშენება ამიტომ დაიწყო, რომ ნიაღვრებისგან დაეცვათ თბილისი. შესაბამისად, ეს პრობლემა დღეს ისევ დგას. კიდევ ერთი ფაქტორი დატბორვისა არის არასწორი ურბანული დაგეგმარება. თბილისში დაუგეგმავი და არასწორი მშენებლობები ცვლის ჩამონადენის ტიპს და ვეღარ ასწრებს ჩაჟონვას წყალი ნიადაგში. სწორედ ამიტომ ასფალტით, ბეტონით და ნაგებობით მიწის ზედაპირის დაფარვა განაპირობებს დატბორვას“.

როგორც ჩვენთან საუბარში მაჭარაშვილი აცხადებს, აღნიშნული პრობლემების მოგვარების კუთხით, ამ ეტაპზე არაფერი კეთდება.

„პირველი“ შეეცადა, თბილისის მერიის შესაბამის სამსახურს დაკავშირებოდა და მათგან მოესმინა პასუხი მთავარ კითხვაზე: რა კეთდება იმისთვის, რომ ქალაქის ქუჩებში წვიმის დროს წყლის მდინარეები არ მოედინებოდეს, თუმცა ამ დრომდე მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

„პირველი“ მერიის პოზიციას გარკვევისთანავე შემოგთავაზებთ.

მასალაში გამოყენებულია ციტატა „რადიო თავისუფლების“ არქივიდან.